საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მურუსიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბადრი შონიას კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ბადრი შონიას კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

30 მაისი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭომ 2024 წლის 24 იანვრის 1/4 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა, რომელშიც მონაწილეობას იღებს კანდიდატი ბადრი შონია.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული სანდო ინფორმაციისა და საჯარო მოსმენის საფუძველზე, 2024 წლის 29 აპრილს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, შევაფასე შერჩევის პროცესში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის ბადრი შონია და მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმით მაქსიმალური 100 ქულიდან მიკანიჭე 94 ქულა.

ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებებისა და შეფასებათა დასაბუთებების მიხედვით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას ყველა წევრი მიიჩნევს, რომ ბადრი შონია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი შეადგეს 1392 ქულას, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1500) 92.80 პროცენტია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის 1/23 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცესის ფარგლებში შემდგომ ეტაპზე გადავიდა საუკეთესო შედეგის მქონი სამი კანდიდატი: ბადრი შონია, გოჩა ჯეირანაშვილი და გიორგი უბილავა. აღნიშნული განკარგულებით, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ბადრი შონიამ დაიკავა პირველი ადგილი.

შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12-13 პუნქტების შესაბამისად, შეფასების შედეგების ანალიზისა და გასაუბრების საფუძველზე, მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრობაზე საქართველოს პარლამენტისთვის ბადრი შონიას კანდიდატურის წარდგენის გადაწყვეტილებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან მურუსიძე